გაზეთის ფასი

| თთვე | მანა კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, აგშალის ქუჩა, თ. გარანცოვის მქლის პირდაპირ, თაგ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრ. ვი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

გამოვა 1891 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც ამ წელს. ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

---

არშაკუნოვის სახლების დიდს დარბაზში

კვირას, 20 იანვარს,

ა. ე. ნებიერიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება:

I

## მაჭანკალი

კომ. 2 მოქმ. თხზ. ილია ჭავჭავაძისა.

II

## სალამოს ერთი ცხვირი ხეირია

გრ. სუნდუკიანცისა.

III

ქართველ მომღერალთა ხორო იმღერებს სხვა-და-სხვა ნაციონალურს ხმას ბ-ნ რატილის დირიჟორობით.

IV

პროფესორი მაგიისა—სპირიტი ბ-ნი მაცევი წარმოადგენს „მოჯადოებულს ქვეყანას“

V

დასასრულ იქნება მასკარადი; ლეკური და ჩაჩნური ცეკვა: მოწვეულია საზანდარი ჭიანურა და სამხედრო მუსიკა.

არშაკუნოვის სახლების დიდი დარბაზები ამ დანიშნულ სალამოსათვის ნაქირავები აქვს მობენეფისეს და განკარგულების მიმცემიც ის იქნება. ვინც თეატრში აიღებს მანათიანს და მეტის ფასის ბილეთს ნება აქვს მასკარადში შესვლისა; დანარჩენებმა თეატრის ბილეთში მიცემული ფასი უნდა შეავსონ ერთს მანათამდე.

დაწვრილებით აფიშებში.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

---

## ქართული თეატრი

კვირას, 20 იანვარს,

ბენეფისი ვალ. ლ. გუნიასი.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

I

ახალი პიესა

## რომ იცოდეს ჩემი გულის დარდები!

კომედ. 2 მოქმედ.

II

მეხუთე მოქმედება შილერის ტრაგედიიდამ

## ავაზაკები

III

## ბუტიაობა

ვოდევილი 1 მოქმ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი 8 საათზე


---

ტფილისი, 19 იანვარი

მალე ოცი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც საფრანგეთში მესამე რესპუბლიკა დამკვიდრდა და ასე მშვიდობით და წყნარად არც ერთს წელიწადს არ გაუვლია რესპუბლიკაში, როგორც შარშანდელმა გაიარა. წარსულს წელს არც შინაურს ცხოვრებაში, არც საგარეო პოლიტიკაში თითქმის არავითარი თვალ-საჩინო არეულობა და უსიამოვნება არ გამოუცდია საფრანგეთის მკვიდრს.

უმთავრესი ამბავი, რომელსაც უნებლიედ უნდა მიექცეს ყურადღება, არის რესპუბლიკის გამარჯვება. მრავალი მისი დაუძინებელი მტერი დამარცხდა, გაქარწყლდა და დღეს თუ დარჩა კიდევ ვინმე, ხმის ამოღებას ველარა ჰბედავს და რესპუბლიკასთან გამკლავებას ველარ ახერხებს. ბულანჟე, ეს დაუღალავი მეამბოხე და დიქტატურის მაძიებელი, სამუდამოდ დამარცხდა და ეხლა ჯერსეის კუნძულზედ ატარებს თავისს სიცოცხლეს, ყველასაგან აბუებული და მივიწყებული. წარსულის წლის აპრილის თთვეში ბულანჟეს მომხრეებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ იმედი დაკარგული და სცდილობდნენ თავიანთი მომხრეები ამოერჩიათ ქალაქ პარიჟის თვით-მმართველობაში. სულ უნდა ამოერჩიათ 80 წარმომადგენელი და ოთხმოცს კაცში მხოლოდ ორი ბულანჟეს მომხრე ამოირჩიეს, ასე რომ ამას შემდეგ ბულანჟეს დასი სრულიად განადგურებულად უნდა ჩაითვალოს.

საქმე იქამდის მივიდა, რომ თავიანთს დამარცხებას თვით გავლენიანი წარმომადგენელნი დასისა და მეთაურნი აღარა ჰმალავენ და საქვეყნოდ აცხადებენ, რომ სრულიად უსარგებლო და უნაყოფო იქნება მომეტებული ჯიუტობა და სურვილი ჩვენის დასის გამარჯვებისათ. ერთად ერთი გზა-და დაგვრჩენია სამშობლოს სამსახურისა—მივემხროთ წმინდის გულით რესპუბლიკას და ვიღვაწოთ მის კეთილდღეობისათვისაო.

ბულანჟე და მისი მომხრენი დაამხო ძირს ზომიერმა რესპუბლიკელმა, მაგრამ დარჩა კიდევ ერთი მეტად ძლიერი და შეურიგებელი მტერი. ეს მტერი გახლდათ კათოლიკეს სამღვდელოება. წინად საფრანგეთში ამ წოდებას დიდი ზედ მოქმედება ჰქონდათ ერზედ, პირველდაწყებითსა და საშუალო სწავლა-განათლებას სამღვდელოება განაგებდა, ამის გამო სიმდიდრეც ხელში ეპყრა და პოლიტიკაშიაც თუ პირველი არა, უკანასკნელი ადგილი არა სჭერია. მესამე რესპუბლიკამ ეს გავლენა და პარპაშობა ამასაც სრულიად მოუსპო, ჩამოართვა სწავლა-განათლების მეთაურობა და და დაუტოვა ის, ურომლისოდაც სამღვდელოება აღარ იქნებოდა—წირვა-ლოცვის შესრულება. ამ მხრივ შესანიშნავია აფრიკის მთავარ-ეპისკოპოზის, კარდინალ ლავიჟერის სიტყვა; ამ სიტყვაში კარდინალი ურჩევდა კათოლიკე სამღვდელოებას, დაანებეთ თავი, ნუღარ ეწინააღმდეგებით რესპუბლიკას, შეურიგდით და საფრანგეთის სხვა შვილებთან ერთად იღვაწეთ მის საკეთილდღეოდაო. კარდინალ ლავიჟერის წარმოუთქვამს თავისი სიტყვა რომის პაპის ნებადართვით, მაშასადამე ლავიჟერის აზრები მოწონებულია პაპისაგან. სჩანს მაშ, რომ აღარც ის გაუწევს რესპუბლიკას რაიმე წინააღმდეგობას.

ყველა ამ გარემოების წყალობით საფინანსო ხარჯთ აღრიცხვა მომავალის წლისა ისე დამტკიც-

---

# ფელეტონი

## სოფლად

(სურათები ყმაწვილების ცხოვრებისა)

I

— დილილმე, დილილმე, ხვალ ჩურჩხელებსა ვჭამო, გოზინაყსაცა ვჭამო!.. სიხარულით ვიძახდი ახალწლის ღამეს და თან ლოგინში ტანისამოსიანი ვგორაობდი და ყირაზე ვდგებოდი.

— დედი, დედილო!.. ჰა დედი!.. აბა თუ ხმა გამცეს ეე!.. ვუყვიროდი დედაჩემს, როცა ის ბუხართან იჯდა და მეორე დღისთვის ტკბილეულობას ამზადებდა. ის საქმეში გართული იყო და ჩემი ყვირილი არ ესმოდა.

— დე...დი...ლოო!.. ბოლოს გაგრძელებით დავუყვირე.

— რა მოგივიდა შე... უი, შე თავმკვდარო; წინალამ თავი არ გამაწყვეტინე ამ ბედნიერს ღამეს! მშვიდად მითხრა დედაჩემმა.

— ხი, ხი, ხი! ჩავიხითხითე, როცა ეს მითხრა, და თან გავაჯავრე: „თავ მკვდაროვო“, და თანაც იძახი: „წინალამ თავი დამაწყვეტინეო“.

— შენ ვის არ წაალევნ!

— დედილო!

— რა გინდა, რა?.. ნუ გაჰკივი. ხომ იცი, ხვალ ახალწელიწადია. ნუ სცელქობ, თორემ დაგეკვებება და მთელს წელიწადს მაგეთი დამთხვეული და ყველას თავ-მომაბეზრებელი იქნები.

— მართლა დამეკვებება?

— მართლა, მაშ გატყუებ?!

— აღარ ვიგიქებ, ღმერთმანი! ავდექი და დედაჩემს მუხლის ძირში გამოვენასკვე.

— აი, ესე ჭკვიანად ვიჯდები.

— ემაგრე არა სჯობია! ცოტა იქითკი მიიწიე, თორემ მიშლი.

— აჰა! მივიწიე იქით. რამდენ ჩურჩხელას მომცემ? ცოტა ხანს შემდეგ ისევ ჩურჩხელებზე დავუწყე ლაპარაკი.

— რამდენიც იქნება.

— ღმერთმანი, დედილო, რამდენს მომცემ?

— ოჰ, ოჰ! თავის სარქველი-კი ამხადე მაგდენის ჩაჩინით! თუ გამაჯავრებ, არცერთს არ მოგცემო, დამიყვირა დედაჩემმა.

იმან ამ დროს ამოიღო ცხელი შაქრის პურები და ზედ ფხვნილი შაქარი წააყარა. მე წავეტანე, მინდოდა ერთისთვის ხელი დამეცა, მაგრამ დედაჩემმა თვალი შემასწრო და კოვზი ხელის ზურგში ჩამკრა.

— აი შე მსუნაგო კატავ, შენა! ღმერთი გათენებას აღარ დაგაცლის?!

ერთის მეტს ხომ არ ავიღებდი, რა! უ, უ, უ, ზუზუნით ავდექი და ლოგინში პირქვე წავწექი. დავწექი, მაგრამ ჩემი სული და გული შაქრის პურებთან იყო. ერბოს შხიტინი ხომ უფრო მბნედავდა, მადას უფრო მილვიძებდა. კარგა ხანს ვიწექი და უფრო დიდი ხმით ვზუზუნებდი, რომ რა არის დედაჩემს ყურადღება მიექცია ამისთვის და მოეცა შაქრის პური; მაგრამ ის ჩემს ზუზუნს აინუნშიაც არ იგდებოდა. მე ის-ის იყო უნდა ავმდგარიყავ და ისევ დედასთან მივსულიყავ, რომ ცქერით არის მაინც გამაძღარიყავი. სწორედ ამ დროს დედაჩემმა დამიძახა და მე ისევ ლოგინს გავეკარ და გავტერინდი.

— გაიქე, გენაცვალოს, შვილო, დედა! ორიოდე ხმელი ღერი შეშა შამაიტანე, თორემ ამ კუნძს მოკიდება არ ეღირსა.

— ჰო, „შეშა შამაიტანე“! ბუზღუნით ვუთხარი.

— ნუ ხარ, შვილო, გაუგონარი და!..

— ერთი შაქრის პური არ მომცა, და „შეშა შამამიტანე-“ო.

— შენი ბუზღუნის თავი არა მაქვს, წადი ჩქარა, შემოიტანე.

— შაქრის პური მომეცი და შემოვიტან.

— ჰო, კარგი!

— მაშ მამცემ?

— ჰო, ჰო, წადი ჩქარა, შამაიტა.

მე საჩქაროდ გავიქეცი და კარები გავაჭრიალე. მშვენიერი ნათელი ღამე იყო. სავსე მთვარე ნაზად დასცქეროდა ჩვენს თეთრად შემოსილს სოფელს და უხვად უგზავნიდა მკრთალს ნათელს. იმას ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს ახალწლის ღამე იყო. ისევ ისე კეკლუცად მიცურავდა, როგორც წინა ღამეს, ქვეით-კი, ძირს დედამიწაზე ყველა რაღაც მოძრაობასა და მზადებაში იყო, ყველას ერდოდგან ბოლი და ნაპერწკლები ამოდიოდა. მოისმოდა ლაპარაკი, ძაღლების არა ჩვეული ყეფა და ყმუილი, ქათმების ჩხავილი, ფთხრიალი...

აგერ ჩვენმა მეზობელმაც საქთმიდგან ჩხავილით გამოიყვანა ქათამი.

— კეკე, ცული გამომიტანე! დაუძახა ქიტუამ. ხმაზე ვიცანი, ის ჩვენი მეზობელი ქიტუა იყო. ქათამი-კი ისევ ჩხაოდა.

— რა გაყვირებს, შე მუდრეგო, ხომ არ გიპარავ! წაუტია ქიტუამ ქათამს.

— რა დაგემართა, გოგო!

— მამაქეს! მომესმა კეკეს ხმაც. კეკე ქიტუას და იყო. ჩვენ სოფელში იმისთანა ლამაზი არავინ იყო. ეხლა ის აღარ არის. საწყალი, ერთის წლის პატარძალი მოკვდა.

ქათამი გაჩუმდა. „დუჰ“ მომესმა ცულის ბრახუნი და შემდეგ ქათმის ფთხრიალიც.

— თავი მანდ არ დაგრჩეს! უთხრა კეკელას ქიტუამ.

— სანდრო! გამომძახა შინიდგან დედაჩემმა.

მე აღარც-კი მახსოვდა, რომ შეშისთვის გამოველ. დედაჩემმა რო დამიძახა, მაშინ-ღა მომაგონდა. ავიღე რამდენიმე ნაჭერი და შევიტანე შინ. იმას რო არ დაეძახნა, ვინ იცის, რამდენი ხანი ვიდგებოდი.

— ტყეში ხომ არ გაგგზავნე, აქამდის რა დაგემართა?

მე ყური არ ვათხოვე და პასუხიც არ მივეცი. საჩქაროდ დავყარე შეშები და შაქრის პური ავიღე.

— ხელი-ხელთ არა მაქვს, შენვე შეუკეთე.

— იჰ, იჰ, რა გემრიელია! ადგილობრივ ვფუნდრუკაობდი და ტუჩების წკაპა-წკუპ-ით ვიძახდი.

— არ გეყურება, შეშა შეუკეთემეთქი?

— ერთიც მამეცი და შევუკეთებ.

— მე ვიცი, რასაც მოგცემ!.. ე შეშა შეუკეთე, თორემ, ღვთის წყალობა ჰქონდეს სანდროს, რომ მე ის გველივით ავაჭრელო! გაჯავრებით მითხრა დედაჩემმა.

ვიცოდი, თუ გავაჯავრებდი, მუქარას ამისრულებდა, და ამისათვის ხმას ამოუღებლივ დავემორჩილე და შეშები შევუკეთე. საახალწლო კუნძს ჩქარა მოეკიდა და ყუათიანი გუგუნი მორთო.

და, რომ ერთს კაცსაც არ ამოუღია ხმა მის წინააღმდეგ. ამ ოცის წლის განმავლობაში ეს პირველი მაგალითია, რომ ხარჯ-აღრიცხვის განხილვას ასე მშვიდობიანად ჩაეაროს.

წარსულს წელს მონარქიის მომხრეებსაც კოში აღჩუს არ დაუჯდათ. გრაფს პარიჟისას და პრინცს ნაპოლეონს თავი დაანებეს საკუთარმა მომხრეებმა. ახალგაზდა ჭაბუკს, ორლეანის ჰერცოგს ჰსურდა, მომეტებული სიცოცხლე შთაებერა თავის დასისთვის, მაგრამ მის დაპატიმრებით გათავდა. ამ გარემოებას არავითარი მღელვარება და გამწვავებული მითქმა - მოთქმა არ გამოუწვევია ერში.

საფრანგეთის ბედს განაგებს ეხლა ზომიერ რესპუბლიკელების დასი. ტირარის სამინისტროს შემდეგ დაარსდა სამინისტრო ფრეისინესი, რომელიც დღეს ჰმეთაურობს ერსა და უნდა ვსთქვათ, კარგადაც ჰმეთაურობს. უმთავრესი ყურადღება სამინისტროს აქვს მიქცეული ერის განათლებასა და ჯარების უკეთესად მოწყობაზე. ეს თხუთმეტი წელიწადია რესპუბლიკა არც ფულს ჰზოგავს და არც მეცადინეობას აკლებს, რომ თავისი ჯარი და სამხედრო ძალა იმ წერტილამდე აიყვანოს, რომ მოსვენებული სცხოვრობდეს და გარეშე მტრის შემოსევისა და დაწიოკებისა აღარ ეფიქრებოდეს. ამ მხრივ საფრანგეთმა წინ ისე წაიწია, რომ ლამის თითით საჩვენებელიც გახდეს. ჯარების მოწყობას გარდა სამინისტრო დიდს ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ერის განათლებას. აქამდე მარტო პირველ დასაწყის სწავლა-განათლებაზე იყო მიქცეული ყურადღება, ეხლა-კი საერო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ბურჟუამ შეიმუშავა რამდენიმე პროექტი, თუ როგორ მოეწყოს დროსა და ვითარების შესაფერად სწავლა უნივერსიტეტებში და ლიცეიებში. უყურადღებოდ არ იყო დატოვებული აგრეთვე მუშათა საქმე, თუმცა ამ მხრივ საფრანგეთი უკან ჩამორჩა გერმანიას. გარეშე საქმეთა მინისტრმა რიბომ გაუგზავნა საფრანგეთის ელჩებს წერილები უცხოეთში და დაავალა შეჰკრიბეთ დაწვრილებითი ცნობანი, რა მდგომარეობაშია სხვა ქვეყნებში მუშათა საქმე და ან როგორი კანონმდებლობა არსებობსო. რიბოს უკვე მოუვიდა მოხსენებანი ელჩებისა და კიდეც შეუდგნენ მათ ბეჭდვას. მოხსენებანი მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს და, უეჭველია, ხელსაც შეუწყობს და დაეხმარება, როცა თვით საფრანგეთის სამინისტრ შეუდგება ახალის კანონის შემუშავებას მუშათა შესახებ.

წარსული წელი დასრულდა საფრანგეთში სენატორების ამორჩევით. აქაც რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს, ათი ახალი ადგილი მეტი შეიძინეს.

ერთის სიტყვით, რესპუბლიკამ საფრანგეთში ისე მკიდრად მოიკიდა ფეხი, ისე გამაგრდა, რომ ეხლა მის არსებობას აღარაფერი შიში და საფრთხე აღარა მოელისრა. აქამდე საფრანგეთის ერის ძალ-ღონე დასების ბრძოლას უნდებოდა, ერი ტყუილ-უბრალოდ იქანცებოდა, ეხლა კი სულ სხვაა. განათლებული ერი შეერთებულის ძალით დაიწყებს მუშაობას და მის ჭკუის ძალას ვერა დაბრკოლება ველარ შეაყენებს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** 16 იანვარს ღამეს ქუთაისში დიდი ცეცხლი გაჩენილა ევგზალის ახლო და გადამწვარა სახლი მამუკა თურქიასი. სახლი გირაოდ არის ქუთაისის ბანკში 7,500 მანეთში და სახლევად შეტანილი ყოფილა 21,600 მანეთში. სახლი ბ-ნ თურქიასი სრულად გადამწვარა, ახლო მახლო შენობები-კი გადურჩენიათ, თუმცა ძლიერი ქარი ყოფილა აღმოსავლეთისა.

*** ჩვენ მოგვივიდა „ქართველთა წიგნების მბეჭდველ ამხანაგობისაგან“ მის მიერ დაბეჭდილი ახალი წიგნი: „ხალხური ზღაპრები“, შეკრებილნი ალნიაშვილის მიერ. წიგნში მოთავსებულია სულ 15 ზღაპარი და შეიცავს 71 ფურცელს. საკმაოდ სუფთად და ლამაზად არის დაბეჭდილი. ღირს 30 კაპ. წიგნის წინასიტყვაობიდამ სჩანს, რომ ამხანაგობა ამ ერთს წიგნს არ დასჯერდა და აზრადა აქვს ჰბეჭდოს კვლავაც ზღაპრები, სახალხო ლექსები და სხვა ნაწარმოები ერის სიტყვიერებისა. რაიცა შეეხება ვრცელს წინასიტყვაობის და სხვა-და-სხვა ვარიანტების შედარებას, ყოველივე ესე დაიბეჭდება მაშინ, როცა გავათავებთ ამ სიტყვიერების თითოეულის გვარის ნაწარმოების ბეჭდვასაო. ჩვენის აზრით, სრულის თანაგრძნობის ღირსია ასეთი განზრახვა ამხანაგობისა და ვისურვებთ, რომ მის აღსრულებისათვის არავითარს დაბრკოლებას ხელი არ შეეშალოს. ხალხის სიტყვიერებას დიდი სამეცნიერო და საზოგადო მნიშვნელობა აქვს. ერის სული და გული, მისი ჭკუა-გონება და გამოცდილება ცხადად იხატება მისს სიტყვიერებაში. ჩვენი მეისტორიეცა, ეთნოგრაფიცა, ლინგვისტიცა და ბელეტრისტიც ამ სიტყვიერებაში ბევრს მასალას იპოვის თავისის კვლევისა და ძიებისათვის. ენის ცოდნის მსურველისათვის ხომ სახალხო სიტყვიერება დიდი განძი და სალაროა, სავსე უებარო მარგალიტებით, დაუშრეტელი წყაროა ენის სიმდიდრისა, მუდამ ანკარა, აუმღვრეველი და ცხოვლად მჩქეფარე.

*** გუშინ-წინ ტფილისის საქალაქო სამკურნალოში თავი მოიწამლა ახალგაზდა ფერშალმა, გვარად კუჩავამ „სულემით“. ექიმებმა, მართალია, დროზედ მიასწრეს, მაგრამ საწამლავს ისე ემოქმედნა, რომ, როგორც ექიმები ამბობენ, ძნელად თუ სიკვდილს გადაურჩეს.

*** ჩუღურეთის ქუჩებს ვერ იქნა და წამალი ვერა დაედო რა. წვიმიანს დღეს რომ გაიაროთ ამ ქუჩებზე, ასე გეგონებათ, ჩუღურეთლებს რაღაც ცოდვებისათვის გასწყრომია ღმერთი და წარღვნა მხოლოდ იმათთვის მოუვლენიაო. ალაგ-ალაგ ისეთი ხრამებია, რომლებიც ტალახით ამოივსება ხოლმე, რომ შიგ მთელი პოვოსკა ჩაიმალება თავისის ცხენითა და პატრონითურთ, ნეტა სწმენდავდნენ მაინც ამ ტალახს და ქალაქის „მეცოცხეები“ იქითაც მაინც მიიხედავდნენ ათასში ერთხელ მადლის გულისთვის. მთელი თითქმის ცხრა მზის გული უნდა იდგეს, რომ მოაშროს იქაურობა და ამ ქუჩაზედ დასახლებულთ უკალოშებოდ შეეძლოთ გარედ გამოსვლა. წვიმიანს დღეებს ვინა სჩივის, უწვიმობისას, კაი დარშიაც, კისერს არ იმტვრევდეს ადამიანი და სხვა არა გვინდა-რა. შუა და შუა ჩაღრმავებულ-ჩახრამებულებიც რომ არაფრად ჩავაგდოთ, ერთი მხარე ქუჩისა მეორე მხარეზედ თითქმის ორის ადლით მაღლა სდგას, თითქოს დაუზრიყვებია, ქვეშ მიუგდია და ცემას უპირებსო, ასე რომ თუ ეტლმა გამოიარა და შუაგულში მოჰყვა, განსაკუთრებით ღამე, წამოყირავდება და მგონი სულ ნაფოტებად გადიქცეს.

*** 17 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თ. გ—რგის ამილახვრისა, თ. გიორგი წერეთლისა, აზნაურის დავით ბარათაშვილისა და აბაცია აბაშვილისა, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ მათ განეზრახათ მოკვლა გლეხთა მიხეილ ყაზარაშვილისა, ზაქარია უმიკაშვილისა, დიმიტრი ვარძელიშვილისა და დავით ავაზნელისა. პალატამ დაამტკიცა განაჩენი ოლქის სასამართლოსი თ. ამილახვრის შესახებ, ხოლო დანარჩენნი ბრალდებულნი-კი გაამართლა. თ. ამილახვარს ოლქის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ რვა თვეის ვადით საპატიმროში დამწყვდევა.

*** სამეგრელო: ქურდობა ძალიან გახშირდა ჩვენსკენ. ქურდები აღარაფერს აღარ ერიდებიან: ამტვრევენ სახლებს, იპარვენ ცხენებს, ხარებს, ძროხებს, სტეხენ დუქნებს და ვინ იცის, რა ავაზაკობას არა სჩადიან. ერთის კვირის განმავლობაში სოფელ ხეთაში ოთხიხუთი ამისთანა ქურდობა და ავაზაკობა მოხდა: ერთს მოჰპარეს ორი კარგი ცხენი, მეორეს გაუტეხეს დუქანი და მრავალი ჰურჭლეულობა გაიტანეს და სხვა-და-სხვა. ამბობენ, რომ ეს ქურდები სოხუმის ოლქიდამ გადმოსახლდენ აქედ და დაბინავდნენ ჩვენ შორისაო. იქ თურმე ძალიან შეაფუცხუნა ოლქის უფროსმა სასტიკის დევნით ეს ავი კაცები და ახლა აღგნენ და სენაკის მაზრაში გაიკეთეს ბუდეო. ბოქაულის რჩევით, სოფლის საზოგადოებამ გარდასწყვიტა, უკეთ მოეწყოს ყარაულების საქმე, რომ იქნება როგორმე მოისპოს ასე გახშირებული ქურდობა-ავაზაკობა.

*** საინგილო: არც საინგილო ჩამორჩა საქართველოს სხვა კუთხეებს და 14 იანვარს შესაფერად იდღესასწაულა დღეობა ქართველთ განმანათლებელის წმ. ნინოსი. სოფელს ალიბეგლოში არის ეკკლესია ამ წმინდანის სახელობაზე. იქ 14 იანვარს იკ-

---

შაქრის პურების კეთებას მორჩა დედაჩემი და ახლა გოზინაყს შეუდგა.

— დედი, ალვახაზსაც გააკეთებ?

— ჰო, შვილო.

— მაჰმევ განა? მერე რა ნაირად მიყვარს!..

— მე მითხრეს, სანდროს ეჯავრებაო!

— ვინ გითხრა?

— ვინც იყო. ძალიან ეჯავრებაო.

— ღმერთმანი, დედი ძალიან მიყვარს.

— არცა გწყენს?

— დედა არ მამიკვდება, არცა მწყენს!

— სტყუი!

— არა ვსტყუი! არა ვსტყუი, ღმერთმანი!

— არა, შვილო, რო გაწყინოს, მერე რაღა მეშველება.

— არა მწყენს-მეთქი, ადამიანო, არ გეყურება?!.

— არც გოზინაყი?

— არა-მეთქი, აბა იმე!..

თაფლი რომ არ გადმოსულიყო, და დედაჩემს კიდევ ეთქვა რამ, მე ტირილსაც დავიწყებდი, ისე ამიყუჩდა გული დედიჩემის სიტყვებზედ. რას ამბობთ, მე სული მწარედ მოველოდდი ალვახაზის ჭამას და ის-კი მეუბნებოდა, „არ გიყვარს, გაწყენსო“. რაც ყველაზე ძალიან მიყვარდა, ის ძალათი უნდა შეეჯავრებინათ. განა ხუმრობა საქმე იყო!

ვიდრე დედაჩემი გოზინაყს გააკეთებდა, კარგა ხანმა გაიარა. როცა მორჩა, ცხელი გოზინაყი პატარა სპილენძის სინზე დაასხა და გასაციებლად ტახტზე გადადგა. მე ცხელს გოზინაყს წამოვუწექი გვერდით; დედამ-კი ფალუსტაკის კეთება დაიწყო. გოზინაყს დავადე თითი, მინდოდა გემოთი მენახა, მაგრამ თითი ისე დამეწვა, რომ კინაღამ არ შევყვირე.

— ეჰე, ე მანდ რო წამოუწექი, ხელი არ ახლო, თორემ!.. დამიყვირა დედაჩემმა.

— ხელს როგორ ვახლებ, ძალზე ცხელია.

— იქნება კიდევაც გასინჯე?!.

— გავსინჯე-კი არა-და!..

ის თავისს საქმეში გაერთო; მე-კი ისევ ისე წამოწოლილი ვიყავი და მოუთმენლად ველოდდი გოზინაყის გაციებას. იმისი ოშხივარი, რომელიც ცხვირთან მომდიოდა, პირში ნერწყვსა მგვრიდა და სურვილს მიღვიძებდა. ვიწექ და ვფიქრობდი: „დედაჩემმა რო მთელი სინი მომცეს, რა კარგი იქნება... მე მაშინვე გარედ გავიტანდი და სოფელში ისე ვივლიდი; თანაც ნებ-ნება ჭამას დავუწყებდი. უყურებდი ჩვენებურს ბიჭებს, როგორ დამედევნებოდნენ და თხოვნას დამიწყებდნენ. მეც თითო ბეწოს მივცემდი. დანარჩენს-კი მე, სოსო, შაქრო და გიგლა დავსხდებოდით ჩვენს ბანზედ და... აგერ მართლა მომცა დედაჩემმა, და მე სიხარულით ბანისკენ მივარბენინებ. ავედი ბანზე და წინ დავიდგი სინი. სიხარულით გარს ვუვლი, მინდა გვერდით მოუჯდე. ამ დროს დავინახე, სოსო, შაქრო და გიგლა იცინიან. ხელში ჩურჩხელები უჭირავთ და ერთმანეთს დასდევენ... მე დავაღე პირი, მინდა დავუძახო... იმათ ამ დროს თვალი შემასწრეს და ჩემსკენ გამოიქცნენ... სინს გარს შემოვუსხედით. იმათაც ჩურჩული დააწყეს...

— ამოდენა გოზინაყი ვინ მოგცა? მეკითხება გიგლა.

— დედაჩემმა... ჩვენ ბევრი გავაკეთეთ.

სოსომ ამოიღო დანა და უნდოდა დაეჭრა.

— მოიცა, ჯერ ცხელია. ვუთხარი მე.

— მაშ ჩურჩხელები ვჭამოთ!

ჩურჩხელებს ვჭამთ და თან ვიცინით.

— აი თქვე, ეშმაკებო, თქვენა!..

— ავიხედეთ მაღლა. ქიტუას დაკეკე თავს დაგვდგომოდა. მორთული იყო და ღიმილით დაგვცქეროდა ზემოდგან.

— ესე ტკბილად დაბერდით! ყველას თითო კამფეტი მოგვცა და გაკოცა.

— ესე შენ, შენის ენითა! მივაწოდეთ ჩვენც ჩურჩხელა.

— გოზინაყი მომეცით, ჩურჩხელა არ მინდა!

სოსომ გოზინაყს დანა დაუგდო.

— ნუ სჭრი, ნუ! სინიანად მომეცით.

ჩვენ ერთმანეთს გადავეხედეთ.

— არ გემეტებათ?

ჩვენ ხმას არა ვცემთ.

— მაშ თუ ეგრეა, აი! დაეწოდა და სინი აიღო. კეკე გაიქცა.

— სად მიგაქ, ეი! უ, უ, უ!.. დავიწყე ტირილი.

— სანდრო, რათა სტირი, შვილო!..

— ჰა!.. გავახილევ თვალიები და დედაჩემი დავინახე. ის ჩემსკენ მობრუნებულიყო.

— რა გატირებს? მკითხა კიდევ.

— გოზინაყი მომტაცა!.. ტირილის ხმით ვუპასუხე.

— ვინ მოგტაცა, ემანდე, მანდვე არა სდგას?

— აბა? დავხედე და მართლა იქვე იდგა სინი.

— სიზმარში მინახავს!

— აი რა სულელი რამა ხარ, სიზმარშიაც გოზინაყი გელანდება! წადი, ლოგინში დაწექ, თორემ შეგცივა.

მეძინებოდა და ამისთვის ხმის აუმოღებლივ გავიხადე და ჩავწექ ლოგინში.

II

— სანდრო, სანდრო!.. ადექი, შვილო, ნუ გამაჯავრებ კია და!..

— დაიცადე, აბა იმე!..

— ადე კარგი, ნუ ხარ ჯიუტი!

— ეხლავ, ეხლავ!..

— ადე, გოზინაყი ჰამე!

— აბა?! წამოვჯექ ლოგინში.

ეხლა-ღა მომაგონდა, რომ მეკვლედ მე უნდა ვყოფილიყავი. მეკვლეობა ჩემთვის დიდი რამ სასიამოვნო ამბავი იყო და ამისთვის მარდად ჩავიცვი.

დედაჩემმა სავსე ხონჩა მომცა ხელში და კარები გამიღო.

— ხომ გახსოვს, როგორც უნდა მოიქცე?

— როგორ არ მახსოვს.

იმ წელიწადს პირველად ვიყავ მეკვლედ და ამისთვის დედაჩემმა წინა დღით გამაზეპირებინა, რა სიტყვებიც უნდა მეთქვა, როცა შინ შემოვბრუნდებოდი და ან გარედ როგორ უნდა შემოვტრიალებულიყავ.

ხონჩა გარედ გავიტანე. ჯერ ისევ ბნელოდა.

„ნაუ!“ გაისმა ამ დროს დიდის ზარის ბოხი ხმა და მოეფინა მთელს სოფელს. რამდენისამე ადგილიდგან ზარის ხმასთან ერთად მომესმა ძაღლების ყმუილი. ჩვენმა მურიამაც სხვებს მიჰბაძა და მორთო უსიამოვნო წკმუტუნი.

— მურია, მურია! აჰაი, შენი თავი ამოიჭამე!.. კარებიდგან გამოსძახა დედაჩემმა და გააჩუმა. *)

მე ხონჩა შემოვატრიალე ღერეფანში და, კარებში რო შევედი, წარმოვთქვი:

„შამოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი—კვალი ანგელო-

*) ზოგ-ზოგს სოფელში სწამთ, რომ, ვისიც ძაღლი ზარის დარეკვას ყმუილით აჰყვება, იმის პატრონს ზარალი მიეცემაო.

რიგება ხოლმე სხვა-და-სხვა ახლო-მახლო სოფლიდამ მლოცავი ხალხი წირვის მოსასმენად და სადღეობოდ. წელსაც საკმაოდ შეიკრიბა ამ დღეს ხალხი. მწირველი იყო აქაური ბლაღოჩინი. წირვაზე გალობდა სამრევლო სკოლის შეგირდების გუნდი და ძალიან კარგადაც გალობდა. წირვას შემდეგ იქადაგა მამა ბლაღოჩინმა. იქადაგა აგრეთვე მღვ. დიმ. ჯანაშვილმა, რომელმაც დაწვრილებით უამბო ხალხს იმათებურის და მათთვის ადვილად გასაგების ენით ცხოვრება და მოღვაწეობა დიდის წმინდანისა. წირვას შემდეგ საპატიო კაცნი მიიწვია სადილად მღ. დ. ჯანაშვილმა და მასწავლებელმა ივანიცკი-ინაშვილმა. სადილმა მხიარულად ჩაიარა. სტუმრებმა დიდად ისიამოვნეს სკოლის შეგირდების სიმღერა-გალობითა. წარმოითქვა რამდენიმე საგრძნობელი და საგულის-ხმიერო სიტყვაც. დიდად სასიამოვნო იყო ის გარემოება, რომ სკოლის შეგირდებს ასეთი წარმატება ეამჩნევდით. დიდი საქმეა, როცა ამ საქართველოს კიდურზე, ამ განაპირა ქვეყანაში ასეთი ნაყოფიერი სკოლა არსებობს და სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ბევრგან სხვაგანაც არ აკლდეს ჩვენს ქვეყანას ასეთი სასარგებლო სკოლები.

*** ქუთაისიდგან გაზ. „Тиф. Л.“-ს სწერენ, რომ 16 იანვარს მთელი ქუთაისი შეძრწუნდა ერთის საზარელის ამბის გამო, რომელიც ჩაიდინა ერთმა 17 წლის ყმაწვილმა. დილით ერთის მეწვრილმანის დუქანში იპოვნეს ამ დუქნის პატარა ბიჭი, გვარად დუდუჩავა, თავ-გახეთქილი. იქვე ეგდო სისხლში გასვრილი ცული და ყაბალახი. წაღებით-კი არაფერი არ წაეღო ბოროტ-მოქმედს. დუდუჩავას ცოცხალს მიუსწრეს. დაჭრილს სისხლი გადმოსჩქეფდა და ისე დასუსტებულ იყო, რომ ძლივს-და ლუღლუღებდა, ბოლოს, როგორც იყო, წარმოსთქვა: „მე დამკრა ერთმა ბიჭმა, რომელსაც მოკლე ჯუბა ეცვაო“. ადგილობრივი მთავრობა მხნედ შეუდგა ამ საქმის გამოძიებას და დამნაშავეს მიაგნო კიდეც. ყაბალახი აღმოჩნდა ჩეიდმეტის წლის მახელ წერეთლისა, რომელმაც აღიარა კიდეც თავისი დანაშაულობა. წერეთელმა სთქვა, რომ ერთის ვილაც ლომიძისა ერთი თუმანი მემართა, შეძლება არა მქონდა, რომ გადამეხადნა, და ის-კი მემუქრებოდა, თუ არ მომცემ, შენს მშობლებს ვეტყვიო. ბევრი ვიფიქრე ამის გამო და ბოლოს გადავსწყვიტე დუდუჩავას მოკვლა, რომელიც როგორც გაგებული მქონდა, ღამე დუქანში მარტო რჩებოდა. შემდეგ წავიღე სახლიდგან ცული, შევედი ამ დუქანში და პაპიროსი ვსთხოვე დუდუჩავას. როცა დუდუჩავამ პაპიროსი მომაწოდა, ავიღე უცებ ცული და თავში დავთხლიშე. როცა დავინახე, რომ ბიჭი სისხლში გაბასრული დაეცა, შემეშინდა, დავიბენი, ცულიც და ჩაბალახიც იქვე დავაგდე და გამოვიქეცი. დუდუჩავას ჭრილობა, ექიმის სიტყვით, ძლიერ საშიშოა. დამნაშავე დაპატიმრებულია.

*** ფოთიდგან სწერენ გაზ. „Нов. Обоз.“-ს: მეორე რიგის ხმოსნების არჩევანს მთელი ორი დღე მოუნდნენ. კანდიდატებად 90 კაცი იყო დასახელებული, მაგრამ იმათში 40 კაცმა უარი განაცხადა და არ მოისურვა, რომ კენჭი ეყარათ მათთვის. ამომრჩეველი 200-მდე იყო. ამორჩეულ იქმნენ: ნ. ი. ნიკოლაძე, ლ. მ. ყრუაშვილი, ნ. ს. ნამიჩეიშვილი, ა. პ. ქინტურია, ა. ა. ალანია, ი. ო. შტენცელი, ი. ფ. თურქია, ი. გ. ვახრამოვი, ი. მ. მეუნარგია, ი. გროდსკი, ნ. პ. რაგოჟინი, გ. ნ. ძიძიგური, ე. მ. გაბუნია, მ. პ. სინიცკი და ა. ქვანია. ყველაზედ მეტი თეთრი კენჭი ამოსვლია ნიკოლაძეს (87%), ყველაზედ ნაკლები—ა. ქვანიას (59%). ძველ ხმოსანთაგან მხოლოდ ხუთი კაცი ამოურჩევიათ ხელახლად. ეროვნებით ხმოსნები ასე განაწილდებიან: რუსი 4 ია, ქართველი—10 და სომეხი—1.

*** ყარსი: 13 იანვარს, ღამე, თავი მოიკლა შტაბს-კაპიტანმა მეციხოვნეთა არტილერიისამ ქალანთაროვმა. საბრალოს გვამი ლოგინზედ იპოვნეს ტანისამოს ჩაცმული. მარჯვენა საფეთქელში ეკრა დამბაჩა, რომელიც იქვე ეგდო ლოგინთან. განსვენებულის მოსამსახურემ გამოაცხადა, რომ ნამდვილად ვერ ვიტყვით, რა დროს მოუკლავს თავი, რადგან ღრმა ძილში დამბაჩის სროლის ხმა არ გამიგონია და მხოლოდ დილაზედ წავაწყდი უსულო გვამსაო. მოკლულის სახლში იპოვნეს წერილი, რომელიც ძმასთან არის მიწერილი. შინაარსი ამ წერილისა და აგრეთვე მიზეზი მკვლელობისა ჯერ არავინ იცის (გაზ. „ყარსი“).

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს გაზეთში მეორე გვერდის მეხუთე სვეტზედ, მე 14 სტრიქონში შეცდომით არის ნათქვამი „მის მიერ ნათამაშევ ლაერტის ნაკვა კმარა“, უნდა იყოს: „მის მიერ ნათამაშევ იაგოს ნახვა კმარა“.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ტფილისში გათავდა ქალაქის თავის არჩევანი იმითი, რომ ისევ ძველი თავი გაათავეს. იმის გათავებასთან ერთად, გვგონია, ბოლო მოეღებოდა იმ აურზაურსა და ღრიანცელს, რაიცა ამის გამო ადგილობრივს საზოგადოებასა და მწერლობაში იდგა. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მწარედ მოვსტყუვდით... ამ ერთის კვირის განმავლობაში ე. ი. მას აქეთ, რაც ქალაქის თავის არჩევანი მოხდა, თითქმის სულ ამ არჩევანის გამო არის ლაპარაკი საზოგადოებაშიც და მწერლობაშიაც. მერე როგორი ლაპარაკია, არ იკითხავთ? ადრინდელა ჩემად ხომ აღარ ლაპარაკობენ! არა, უფრო ცხარედ და გულსხდით. ეხლა გინდათ შეიტყოთ, ვინ ლაპარაკობენ? რასაკვირველია, არა ძველის თავის მომხრენი, რომელნიც საღაპარაკოდ სად მოიცლიან, როცა ტაშის კვრა ჯერაც არ შეუწყვეტიათ თავიანთ გამარჯვების გამო, არამედ მოწინააღმდეგენი. დიაღ, მოწინააღმდეგენი ლაპარაკობენ და ერთსა და იმავე დროს იმას გაიძახიან, რომ ეს უსათუოდ ასე უნდა მომხდარიყო (ე. ი. ძველი თავი უნდა აერჩიათ) და არ უნდა მომხდარიყო ასეო. რა თქმა უნდა, ეს ახირებული და სრულიად ერთმანეთის წინააღმდეგი ფრაზა „ასე უნდა მომხდარიყო“ და „არ უნდა მომხდარიყო ასეო“ ურევს ეხმუშებს, ერთირებს, მაგრამ გონებისათვის-კი აქ უცნაური და საკვირველი არა არის-რა.

არ უნდა მომხდარიყო ძველის თავის ხელახლად არჩევა იმიტომ, რომ საბჭოში უმრავლესობა ახალი ხმოსნები არიან და ახალ ხმოსანთა მეთაურად ისევ ძველი თავი რადაც შეუფერებელ-შეუხამებელი გამოდის. ახალი და ძველი ერთმანეთის წინააღმდეგი სიტყვაა ისე, როგორც ყინული და ცეცხლი და არა გვგონია, რომ ერთად მოთავსდნენ და საზოგადო უღელი თანაბრად გასწიონ. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ბრძოლა აუცილებელია: ან ახლებმა უნდა გაასხლონ ძველი, ან ძველმა დაამარცხოს ახლები. უამისობა შეუძლებელია. ხომ იცით ახალთან შეთვისება, ახლის ხელის შეწყობა თვით უოკლის შემძლებელმა და უოკლის მომხრეხებელმა ბისმარკმაც ვერ შეიძლო და ვერ მოახერხა. ხომ მოგეხსენებათ, რომ ასეთმა გარემოებამ ბისმარკიც მოჰხსნა და მოადუნა, ის ბისმარკი, რომელმაც არ იცოდა, რომელსაც ჩვეულებად არა ჰქონდა სიფათისა და განსაცდელში უკან დახევა, ერთის სიტყვით, სიმკვლემ და დროთა ვითარებამ გაუტეხელი ბისმარკიც გასტეხა და მიატოვებინა ბრძოლის ველი... უოკელისავე ამის მნახველთ როგორ არ უნდა ეთქვათ, რომ ეს ასე არ უნდა მომხდარიყოო! როგორ არ უნდა განცვიფრებულიყვნენ, როცა ჩვენმა საკუთარმა ბისმარკმა ნამდვილს ბისმარკზე მეტი უნარი გამოიჩინა საქმის ცოდნისა. გარდა ამისა ჩვენს ძველებს უთქვამთ: „პური და ღვინო ძველი სჯობს, პატრონები-კი ახალ-ახალიო“. უოკელსავე ამას შემდეგ, გგონებ არ გაგიკვირდებათ, თუ რად უნდა აერჩიათ ისევ ის ძველი თავი, რომელიც აირჩიეს!

ეხლა გახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ იმის გამორკვევას, თუ რად უნდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა ე. ი. რად უნდა აერჩიათ ისევ ძველი თავი და არა ახალი. მართალია ამის გამო ჩემდა თავად არაფერი ვიცი, მაგრამ, როგორც ამბობენ, თურმე ძველს თავს დიდი ცოდვები ჩაუდენია, მრავალი შეცდომა მოსვლია თავისს თაობაში და რა სასურველი იყო, თუ ღმერთი გწამთ, რომ ძველის ცოდვები ახალს დაჰკისრებოდა და ძველის შეცდომების გამო ახალი გაეკიცხათ! მაშასადამე საჭირო იყო, ვინც სცოდა, მასვე შეენანა, ვინც შესცდა, ის გასწორებულიყო. სხვა არა იყოს რა, საღმრთო წერილი ბრძანებს: „არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვნება მისიო“.

უოკელივე ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ძველს თავსა და ახალს ხმოსნებს შორის ბრძოლა მოხდება და ძველი თავი მხოლოდ იქამდის ითავებს, ვიდრე ძველის ცოდვების ანგარიშს გასწმენდდეს ახლების წინაშე. მაშინ-კი, გგონებთ, იტყვის „აწ განმიტევებ“ და შეინანებს, რომ მეტის-მეტად აჩქარდა და ფონი ჩაუვალს დალოცა და არა გასავალს!..

—

უეჭველად, რომ ქალაქის თავის გამო ლაპარაკით თავი მოგაბეზრეთ, მაგრამ,

ზისა!“ ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორე და მერე ხონჩა დედაჩემს გადაეცი ამ სიტყვებით: „დაესწარით მრავალს ახალ-წელიწადს სიხარულით, ჯან-მთელობით და სიცოცხლით!“

— ევრე შენ, შენის ენითა, შვილო! მიპასუხა დედაჩემმა და ხონჩა გამომართო.

შემდეგ მივედი ბუხართან და საახალწლო კუნძს ჩიჩხვლა დავუწყე. ნაპერწკლები რო ბლუჯა-ბლუჯა ადიოდა, მე ვიძახდი: „ამდენი ძროხა, ამდენი ცხენი, ამდენი ხარი, კამეჩი, ამდენი ფარა ცხვარი, ამდენი ქათამი, ამდენი სკა ფუტკარი, ამდენი, ამდენი... ოოო! დედი, დედი, აქ უცქირე, რამდენი ნაპერწკალი ადის!.. ამდენი, ამდენი!.. უჰ!.. უცქირე, უცქირე... ამდენი, რა?.. ამდენი ძაღლი!..“

—ძაღლები რაღად გინდა, სულელო!

—მაშ ამდენი საქონელი ხომ მგლებმა დაგვიჭამეს! „ამდენი, ამდენი...“

— კარგი გვეყოფა!

— უჰ, რამოდენა საქონელი გვეყოლება!

— წამოდი ახლა, დაგაბერო!

დედაჩემმა მიმიყვანა ხონჩასთან და მითხრა:

— ესე ტკბილად დაბერდი, შვილო, ღმერთმა შენს ბედნიერებას და თეთრად დაბერებას შემასწროს, აილო თითო ნაჭერი გოზინაყისა, ალვახაზისა და და სხვა ტკბილეულობისა და შამესავით პირში ჩამიდო.

— ესე ტკბილად მეც დავბერდე! თითონაც შეჭამა რამდენიმე ნაჭერი.

— სანდრო, აჰა ჩურჩხელები, წვრილად დაიჭერ და ვინძლო ჭკვიანად მოიქცე დღეს. თუ დაგაბეროს ვინმემ, შენც თითო ნაჭერი მიეცი. მომცა რამდენიმე ჩურჩხელა და დანა.

მე მივჯექ ბუხართან და ნებ-ნება დავუწყე ჭრა. ისე გავერთე ჩურჩხელების ჭრაში, რომ არ დამინახავს, დედაჩემი ამ დროს რას აკეთებდა.

— აბა, შვილო, მითხრა დედაჩემმა, როცა სოფელში გასვლას ვაპირებდი, თუ შეხვედი სადმე ფრთხილად იყავ, ქვეშ ნაკმაზი არავინ დაგიყაროს**)!

პირდაპირ ძალუანთას წავედი. მილოცვას შემდეგ ძალუამ დამაბერა და მითხრა: „ფეხებს დაგამტვრევ, თუ ცუდი ფეხი გექნება“!

— ღმერთმანი, ძალო, კარგი ფეხი მაქვს!

— აი, გამოჩნდება, თუ კაი ფეხი გაქვს. იკი, სანდრო, თუ მართლა კაი ფეხი გაქვს და ბევრი ქათამი გავზარდე, ერთს ქოჩორა ვარიას ბერზვარად დაგიყენებ!—

— რატომ არ დაჯდები? მითხრა ძალუამ ცოტა ხანს შემდეგ, როცა მე იმის პატარა თამროს მასხარაობა დავუწყე.

— გინდა-კი, ქვეშ ნაკმაზი დამიყარო!

**) ახალწელიწადს თუ ქვეშ ნაკმაზი დაუყარეს ვისმე, ქათამს ველარ გაზრდ-აონ.

— ხა, ხა, ხა! თავისებურად გადიხარხარა ძალუამ. ეგ ვილამ გასწავლა?

— ვინ უნდა მასწავლოს!..

— გაზრო, ნაკმაზი გამომიტა, ხანდროს ქვეშ მინდა დავუყარო. სიცილით დაუძახა თავისს შვილსა და თან დასაჭერად მე წამომეტანა.

რაკი ეს გავიგე, მაშინვე კარებისკენ მოვკურცხლე და ერთის თვალის დახამხამებაზე გარედ გამოვირბინე.

— აბა დამიყარე! გარედგან შევძახოდი.

— სად გარბიხარ, გეხუმრები, შე სულელო, განა მართლა დაგიყრი, სიცილით მეუბნებოდა.

— სანდრო! ვილამაც დამიძახა ამ დროს.

მივიხედე იქით, საიდგანაც ხმა მომესმა, და გიგლა დავინახე. „გიგლა“! წამოვიძახე უეცრად, და იქით გავექანე.

— ბიჭო, მე თქვენსა ვიყავი!

— ეხე ტკბილად დაბერდი! მივეცი ერთი ნაჭერი ჩურჩხელა და ერთმანეთს ვაკოცეთ.

— ესე შენ, შენის ენითა! იმანაც სამაგიერო მომცა.

— რატომ ჩვენსა არ მოხვედი?! საყვედურით მითხრა გიგლამ.

— რატო შენ-კი არ მოხვედი?! კითხვითვე ვუპასუხე.

— აკი გეუბნები, თქვენსა ვიყავი მეთქი! ბიჭო, დედაშენმა რამდენი რამე მაჭამა!..

— შინ იყო დედაჩემი?!

— შინ იყო. წამოდი ახლა ჩვენსა! ჩვენს უბანში ბიჭები თამაშობენ და ჩვენც ვითამაშოთ!

— წავიდეთ!

— ჯერ შაქროანთას წავიდეთ, იმასაც დავუძახოთ!

— წავიდეთ!

მე და გიგლა შაქროსკენ წავედით. იმის სახლი იქვე იყო და ამისთვის საჩქაროდ მივედით, შესვლა-კი ველარ გავბედეთ. დერეფანში ხალხი ირეოდა, ყველას სახეზედ მწუხარება იხატებოდა.

ვიდექით ისე დიდხანს; ვერც არავის ვკითხეთ, თუ რა მოხდა და ჩვენც შიგ შესვლას ვერ ვახერხებდით. ბოლოს, როგორც იყო, გავბედეთ და სახლში შევედით.

შევედით თუ არა, მოგვესმა მარინეს ხმა: „გიგოლი, გიგოლი“. ის მოსთქვამდა სიტყვებს და სხვა იქ მსხდომი დედაკაცები ბანს აძლევდნენ. ყველა ლექსს მარინე ასე ათავებდა: „ვაი იჰ, იჰ.“ დედაკაცებიც იმასთან ერთად იმეორებდნენ.

„მარინე გათქმული იყო, როგორც მომტირალი. თითქმის ყველას მკვდრის დამტირებელი და გამაპატიოსნებელი, როგორც ჩვენში ამბობდნენ, ის იყო. ისე მიცვალებული არ იქნებოდა, რომ მარინესთვის არ დაეძახნათ. ხანდახან სხვა სოფელშიაც მიიპატიჟებდნენ ხოლმე...

„ადე, ადე, გიგოლი, დაიძახა მარინემ, როცა ჩვენ თვალი შემოგვასწრო, ადექი, ნუ ხარ გაუგონარი. ადე, ბედნიერი დღე ნუ გაუმწარე შენს შაქრიკასა, აგერ იმისი ტოლები მოვიდნენ და სათამაშოდ იწვევენ, ვაი იჰ, იჰ“...

ეს რო გავიგონეთ, კედელს ავეკარით და მოვიბუზენით. შეგვრცხვა და ვიგინებოდით გულში, ჩვენ რად გვახსენაო. ჩვენ იმაზე უფრო შეგვრცხვა, რომ მარინემ, თითქო გულთმისანიაო, ისე მართლა სთქვა, „შაქრიკას სათამაშოდ იწვევენო“.

„ეს-კი შენ ჩამოგტირის და თავს ველარ განებებს“ დაიწყო კიდევ მარინემ.

„ვაი მე, მე დამწვარს“! წამოიძახა მაგდანმა, რომელიც თმა-გაწეწილი და ლოყებ-დასისხლიანებული ორს დედაკაცს გაკავებული ეჭირა. მალ-მალ თავს ხან იქით აგდებდა და ხან აქეთ. შაქრიკა-კი იქვე დედის ზურგს უკან იდგა და ცრემლით თვალებს ითხრიდა.

„მამი!“ უეცრივ წამოიძახა შაქრიკამ.

„მამა მოგიკვდა, შვილო, მამაშენი ხმას ველარ გაგცემს!“ დაიღრიალა მაგდანამ ისეთის ხმით, რომ ტანში სულ ჟრუანტელმა დამიარა.

ყველამ ქვითინი დაიწყო. მეც ველარ დავიმაგრე ცრემლები და ნაკადულსავით გადმომსკდა; გიგლა ხომ ხმა მაღლა ღრიალებდა...

შ. არაგვის-პირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედია, მომიტევებთ ასეთს დანაშაულს, რადგანაც დღეს არა თუ მარტო მე, არამედ ორი აქაური გაზეთი, არა თუ მარტო ქალაქის თავის გამო, არამედ ქალაქის ყველა ხმოსანთა შესახებ ლაპარაკობს, სწერს, ბეჭდავს და ქვეყანას ატყობინებს მოკლე ანგარიშს იმისას, თუ სად დაიბადა ესა თუ ის ხმოსანი, სად აღიზარდა, რომელ მეცნიერების ტაძარში მიიღო სწავლა, რომელს ბაღში იგემა ნაყოფი „ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ და დასასრულ რა საქმეს დაადგა: კერძო საქმეში ჩაება, თუ საზოგადო სარბიელზე იწყო მოღვაწეობა, ქვეყნის ავ-კარგი ტვირთად გაიხადა, თუ ქვეყნის ავ-კარგს თითონ გაუხდა ტვირთად და სხვ. როგორც ხედავთ, ეს ცნობანი საზოგადო ინტერესს მოკლებული არ არის. როგორ არ უნდა ვიცოდეთ ჩვენი დედა ქალაქის ავ-კარგი, რა გვარ კაცების ხელშია ჩავარდნილი. დიაღ, საჭიროა, უნდა ვიცოდეთ!. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგიერთმა ხმოსანმა არ მისცა „Нов. Обоз.“-ს საჭირო ცნობანი თავის ცხოვრებისა. ერთის ხმოსნისაგან სწორედ რომ ახირებული პასუხი მიიღო ამ გაზეთის რედაქციამ: „დავიბადე ამა და ამ წელს, სწერდა ხმოსანი, ხოლო როდის მოკვდები, არ ვიცი. ვიდრე 22 წლისა გავხდებოდი, სხვები მწვრთნიდნენ და მასწავლიდნენ, ამას შემდეგ-კი მე თითონ ვიწვრთნები და ვსწავლობ. ჩემი ხელობა მკურნალობაა. ავადმყოფს ზოგჯერ ძალიან კარგად გამოვიცნობდი ხოლმე, ხოლო კარგა მყოფების გამოცნობაში-კი ყოველთვის ვტყუვდებოდი და ეხლაც ვტყუვდები“... ასე თუ ისე „Нов. Обоз.“-მ მაინც მოახერხა და თითქმის ყველა ხმოსანთა ცხოვრების მოკლე აღწერა დაჰბეჭდა და მით შეძლება მოგვცა, წარსულის მიხედვით ხმოსანთა მერმისიც გავითვალისწინოთ, თუ რამდენად სასარგებლო იქნება მათი ხმოსნობა ქალაქისათვის.

ეს გარემოება როგორღაც არ ეჭაშნიკა „Тифлисскій Листокъ“-ს, შური შეიპყრა, წარბები შეიჭმუხნა, მაგრამ სამაგიეროდ აღახსნა ბაგენი თვისნი და გამოგვიცხადა „უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა თვისისანი“. რა საჭიროა, თუ რომელი ჩვენგანი სად დაიბადა და როდის დაიბადა, ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ყველა ჩვენგანი ოდესღაც და სადღაც დაიბადაო, ბრძანა ამ გაზეთმა. ესეც რომ არ იყოს, „Новое Обозрѣніе“ ქვეყანას ატყუებს და საქონლის მხოლოდ პირი დაგვანახვა და სარჩული-კი დამალაო. ამიტომ, როგორც ქვეყნის გულ-შემატკივარი და ერთგული, როგორც ქვეყნის მომხრე და მოსარჩლე, ჩვენი გაზეთი ვერ მოითმენს ქვეყნის მოტყუებას, მისი ვალია, როგორც პირი ისე სარჩულიც საქონლისა გააცნოს ქვეყანასაო. ამას შემდეგ მოჰყვა „Тифлисскій Листокъ“-იც და ამანაც ჰბეჭდა ხმოსანთა ცხოვრების შესახებ ცნობანი, მაგრამ ნამდვილი ცნობანი-კი არა, არამედ გაუკუღმართებული და დაღუნჭორებული. ერთის შესახებ სთქვა: ამდენი და ამდენი ვერძი საჭმელი, ამდენი და ამდენი ბოთლი ღვინო, ამდენი და ამდენი ჭიქა ჩაი და სხვა უნდება თითო ჯერზეო. მეორეს უკიჟინა, რომ მისი სიცოცხლე მარტო ლაპარაკში იძევს, წერა სრულიად არ ეხერხება, კალამთან იმდენად მწყრალია, რომ, ასე გასინჯეთ, „Тифлисскій Листокъ“-ში მისი ერთი წერილიც არაოდეს არ დაბეჭდილაო. მესამის გამო დაბეჭდა, რომ თუმცა ბევრი შვილი ჰყავს, მაგრამ იმდენად გულ-ცივია, რომ არაოდეს ფიქრად არ მოსვლია თავისის შვილებთან ერთხელ მაინც ცხენობანა ეთამაშნაო. ამ ნაირად „Тифлисскій Листокъ“-მა მის ჭკუით „Новое Обозрѣніе“-ს მოტყუებისაგან დაიხსნა ქვეყანა! რაღა გვეშველებოდა, ერთი მიბრძანეთ, რომ ყოველივე ის, რაც „Тифлисскій Листокъ“-მა გვაუწყა არ გვცოდნოდა, ხომ დავიღუპებოდით ხომ ამოვვარდებოდით და აღვიგვებოდით პირისაგან ქვეყანისა! რა ამბები ხდება ქვეყანაზე თურმე და ჩვენ-კი არაფერი ვიცით! ერთი სადილობს, ვახშმობს, საჭმელს სჭამს, სასმელს სვამს; მეორე მხოლოდ ლაპარაკობს, ლაპარაკობს და არაფერს-კი არა სწერს და რომ არაფერს სწერს, იმით მტკიცდება, რომ „Тифлисскій Листокъ“-ის თანამშრომლად არაოდეს არ ყოფილა. მესამე კიდევაც ლაპარაკობს, კიდევაც სწერს, მაგრამ ყოველსავე ამას რა თავში იხლით, როცა თავისს შვილებთან ცხენობანას არა თამაშობს!

სწორედ რომ საკვირველებაა, სწორედ რომ უცნაურობაა!.. მაგრამ არც იმდენად, რადგანაც

დრკუთ კაცთა გული ნაიდაგ
გმებს მოყვასთა მკირებსა;
გული მშვიდი და მდაბალი
მრახვას არ გაიკვირვებსა.

დათიკო ვერმიცანაშვილი

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ თ. ზაქარია გიორგის ძეს ერისთავს, თ. ამილახვარს და კნ. ეკა ამილახვარისას, რომელნიც დაჰპირდნენ ამას წინად ჩემდა ჩაბარებულს სკოლას ყოველ წლივ 65 მან. და დღეს შეასრულეს კიდეც დაპირებული და შემოსწირეს პირველმა 50 მან., მეორემ—10 მან. და მესამემ—5 მან. ამასთანავე მისწერეს აქაურს სხვა მემამულეთაც და სთხოვეს, შეძლებისამებრ დაეხმარონ ღარიბს სკოლას, რომელსაც მარტო გლეხობა ინახავს, გლეხობა ისედაც გაჭირვებული სხვა-და-სხვა ხარჯების გამო.

კასპის სკოლის მასწავლებელი ნებაძე.
სოფ. კასპი.

◆◆

# დეპეშა

18 იანვარი

პეტერბურგი. „Нов. Вр.“-ს გაუგონია, კვლავ იმედოვნებენ, რომ მთავრობა საემირატურო კასას დააარსებს სოფლის მასწავლებელ ქალთა და კაცებისათვისაო.

იანვრის გასულს იმართება კალუგაში გამოფენა ფრინველთა, ივნისში ქალაქ ვერროში გამოფენა საქონლისა და სამეურნეო ნაწარმოებთა, ივნისშივე—მურანში და სექტემბერში გავრილოვსკში გამოფენა ცხენებისა.

„Новости“ იუწყება, რომ პეტერბურგში არსდება დამხმარებელი საზოგადოება შინაურის ხელ-საქმისა. თანხა საზოგადოებას ერთი მილიონი მანათი აქვს, წესდებაც უკვე შეიმუშავა და აზრად ისა აქვს, რომ საწყობები, მაღაზიები და გამოფენები გამართოს ხოლმე.

ლონდონი. ხმა დადის, რომ ავღანისტანის ემირი აბდურახმან-ხანი გარდაიცვალაო.

ვენა. ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი 21 იანვარს აპირებდა პეტერბურგში წასვლას, მაგრამ 23—24 იანვრისათვის გადასდო.

19 იანვარი

პეტერბურგი. ეპისკოპოზი კიშინევისა სერგი დაინიშნა ხერსონის მთავარ ეპისკოპოზად, ხოლო ეპისკოპოზი ტომსკისა ისააკი—კიშინევის ეპისკოპოზად.

პეტერბურგის ბირჟა: ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები გაიყიდა $102^1/_4$ მ. ხოლო ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ობლიგაცია $96^1/_2$ მ.

პეტერბურგის ბირჟა, 18 იანვარი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 90 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | $137^3/_4$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 06 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 236 |
| —მეორისა | — „ | — „ | $225^1/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | $211^1/_2$ | — „ | $214^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიიხა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა-კახი**

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.




ს.-პეტერბურგის საქიმო გამგეობის ნება-დართული
ფხვნილი
თმისა და ბალნის მოსაცილებლად
(Poudre dépilatoire)
გ. კ. ბრიუნინგისა, მაინის ფრანკფურტში.
ეს თმისა და ბალნის მოსაცილებელი საშუალება შხამიანი არ არის და სრულიად უვნებელია.
შუშა ჰქირს ბეწვის კალმიანად 2 მან. 50 კაპ., სხვა ქალაქში გაგზავნით 3 მან.
ისყიდება ს.-პეტერბურგის. ალექსანდრე ვენცელთან, ეკატერინეს უბანში № 26. (8—7)

**რძის ფქვილი ნესტლესი** ჰღირს 1 მან.




ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად
უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწყობა. მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ სუსტი კუჭი აქვსთ.
წყალ-გაუცლილი, გასქელებული რძე ნესტლესი ჰღირს 85 კაპ.
ისყიდება ტ ფ ი ლ ი ს ს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ა. წურინოვთან, ა. პოპოვთან, გ. ა. პოპოვთანვე, ვ. გრიგნაკთან და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და საწვრილმანო მაღაზიებში.
უმთავრესი საწყობი ს.-პეტერბურგს, ვაზნების ქუჩა, № 3; მოსკოვს, პოკროვკაზე, ევდოკიმოვის სახლებში ალექსანდრე ვენცელთან.
ერთად-ერთი აგენტი მთელის რუსეთისა *Александръ Венцель*
მაქვს პატივი საზოგადოებასვაცნობო, რომ მე პასუხის გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ქურქლისათვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად-ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.
ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარიას).

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში
(დოროს-მელიქოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა)
ისყიდება
ამხანაგობის მიერ ახლად გამოცემული
ხალხური
**ზღაპრები**
შეკრებილი ალნიაშვილის-მიერ.
წიგნი I.
ფასი 30 კაპ.
აქვე ისყიდება ქართველთა ამხანაგობისავე გამოცემანი.
თხზულებანი დავითაშვილისა, ფასი 80 კ. მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
ბაჩანას პოემა, დაბადება და აღზრდა მეფე ერეკლესი 15 კ.
**ქართული კედლის კალენდარი**
ფასი 40 კაპ.
და სხვა ქართული წიგნები.
ადრესი ქალაქს გარეშე მყოფთათვის: Тифлисъ правленію грузинскаго издательскаго товарищества. (5—2)

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ
**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. უდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.
**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. უდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.
**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
**„ისტორიული ნარკვევი“**
ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.
ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Тифлисъ, Доз. цен. 19-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.